# ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№1, 31 იანვარი, სამშაბათი, 2017 წელი

## ექსპონატები ლაპარაკობენ

ვაგრძელებთ რუბრიკას და ვესაუბრებით სამუზეუმო გაერთიანების მმართველის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, პოეტსა და ლიტერატორს – ქალბატონ **მურად მთავრელიძეს**.

**– ბატონო მურად, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებას, მართლაც, შესანიშნავი ადამიანები ჰყავს, რომელთა პროფესიონალიზმზე დგას მუზეუმის საქმიანობა. საინტერესოა ამ მხრივ, თქვენი, არამარტო, მეცნიერისა და მკვლევარის, არამედ, როგორც შემოქმედის მისია და წვლილი. რა გევალებათ მუზეუმში?**

– ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებისა და მასში შემავალი მუზეუმების საქმიანობა არ განისაზღვრება მხოლოდ მხარეთმცოდნეობით. მუზეუმები ახორციელებენ სამეცნიერო საქმიანობასაც. ჩემი მოვალეობაა კოორდინაცია გავუწიო ამ საქმიანობას და გეგმაზომიერად წარვმართო ეს სფერო.

**– ხომ ვერ დააკონკრეტებთ?**

– ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე არსებობს საკვლევი თემების ჩამონათვალი, რომელთა რაოდენობა ასს სცილდება. ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია, ამ ჩამონათვალიდან, რომელიც, ამავდროულად, წარმოადგენს პრიორიტეტსაც, თუ რა საკითხების კვლევას ვანიჭებთ უპირატესობას, აიღოს მისთვის სასურველი თემა და წლის ბოლოს წარმოადგინოს შესრულებული ნაშრომი.

ამ თემატიკას, ისევე როგორც სამუზეუმო გაერთიანების სამუშაო გეგმას ამტკიცებს სამეცნიერო საბჭო, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

2016 წელი, ამ თვალსაზრისით, საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. ჯერ კიდევ გასულ, 2015 წელს, ჩვენ სათავე დავუდეთ სამუზეუმო გაერთიანების ბაზაზე იმ სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებას, რომელიც გაიმართება ყოველწლიურად და მიეძღვნება რომელიმე მწერლის საიუბილეო თარიღს. გასული წლის კონფერენციის დევიზი იყო „აკაკი და საქართველო" და მასში მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის არაერთი მუზეუმისა და უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ცნობილი ქართველი მეცნიერები, რომლებმაც წარმოადგინეს მაღალ დონეზე შესრულებული მოხსენებები. ეს ნაშრომები შევკრიბეთ და, უკვე წელს, გამოვეცით ცალკე კრებულის სახით. ეს კრებულები, სხვა საჩუქრებთან ერთად ჩალაგებული იყო წლევანდელი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა პორტფოლიოებში.

წლევანდელი კონფერენცია მიეძღვნა გენიალურ შოთა რუსთაველს და ქალაქის მეექვსე საჯარო სკოლის ბაზაზე ჩატარდა, რომელსაც რუსთაველისადმი მიძღვნილი, მთელი რიგი ღონისძიებების დიდი ტრადიციები გააჩნია, მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სკოლის დირექციის (დირექტორი – თამარ ხადური) ძალისხმევით, რუსთაველის დარბაზში გაიმართა პლენარული სხდომა, რომელშიც ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი სვიმონ ნოზაძეც ესწრებოდა. კონფერენცია იყო ძალზედ მასშტაბური. მასში მონაწილეობას იღებდნენ მუზეუმებისა და უნივერსიტეტების თვალსაჩინო მკვლევარები, პროფესორები – მიხეილ ქავთარია და ელდარ მამისთვალიშვილი. ჩვენი სამუზეუმო გაერთიანებიდან პლენარულ სხდომაზე საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ თამაზ ლაცაბიძე, მზია ლობჟანიძე, კლარა გელაშვილი. აგრეთვე, ვაჟა შუბითიძე, ამირან ჩადუნელი.

**– არ შემიძლია, არ ჩავერთო... შ. რუსთაველისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ტრადიციას, ჯერ კიდევ, თქვენი დირექტორობის წლებში ჩაეყარა საფუძველი მეექვსე სკოლაში. მაშინდელი რუსთაველის დარბაზი და მთლიანად სკოლის ლიტერატურულ-მხატვრული ინვენტარი ძველი ქართული სალონების იერ-სახეს აძლევდა სკოლას. მაშინდელი შთაბეჭდილება ახლაც შემორჩა ჩემს მეხსიერებას. იმავეს ვიტყვი ხაშურის მეცხრე საჯარო სკოლაზეც.**

– დიდი მადლობა. განვაგრძობ თემას. აღსანიშნავია, ისიც რომ გასულ წელს სურამის ლესია უკრაინკას მუზეუმის თანამშრომლებმა დიდი შრომა გასწიეს ლესია უკრაინკას ბიბლიოგრაფიის შესადგენად, რომლის გამოცემასაც წელს ვგეგმავთ.

გასულ წელს, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის მუზეუმის ფონდების მცველმა – კლარა გელაშვილმა ჩაატარა ძალზე მნიშვნელოვანი სამუშაო. მან თავი მოუყარა თბილისის სხვადასხვა მუზეუმსა და არქივებში გაბნეულ ნინო ყიფიანის ნაწერებს და თემატურად დაალაგა, რომლის რედაქტირებაც თავად გავაკეთე და წელს. ასევე, ვაპირებთ ამ მნიშვნელოვანი ნაშრომის გამოცემას. ამით, გვინდა სათავე დავუდოთ ყველა მოღვაწე ყიფიანის ნაწერების კრებულებად შეკრება-გამოცემის საქმეს.

ბატონი თამაზ ლაცაბიძე თვითონ იძლევა საკვლევაძიებო საქმიანობის მაგალითს და მას უკვე მომზადებული აქვს ნიკო ყიფიანის ნაწერების ასეთივე ნაშრომი.

აგრეთვე, ვგეგმავთ, განვახორციელოთ მუზეუმში დაცული, მაკინე ამირეჯიბის ხელნაწერი რვეულის ჩემს მიერ მომზადებული კომენტირებული გამოცემა. ასევე, მზადაა ჩემი ნაშრომი – „დიმიტრი ყიფიანი – ლიტერატორი", რომელიც ამ დიდ მოღვაწეს წარმოგვიჩენს, როგორც ქართული მწერლობის დიდ ჭირისუფალსა და დამფასებელს.

საინტერესოა ქალბატონი მზია ლობჟანიძის ნაშრომიც, რომელიც ჩვენს მუზეუმში დაცულ ავგაროზებს ეხება. აქვე მინდა ვთქვა, რომ მზია ლობჟანიძემ, დალი ტაბუცაძესთან ერთად მოამზადა და გამოსცა ერთგვარი გზამკვლევი – „ხაშურის რაიონი". ისევე როგორც წინა წელს, მისი ხელმძღვანელობით, ავტორთა ჯგუფმა მოამზადა და გამოიცა ასეთივე ხასიათის ნაშრომი ჩვენს სამუზეუმო გაერთიანებაში შემავალი მუზეუმების უმდიდრეს ფონდებზე.

ასევე, მნიშვნელოვან სამუშაოებს ასრულებენ საგამომცემლო საქმიანობის რედაქტორი – **მაყვალა ხაჩიძე** და წიგნების ფონდის მცველი – **თამარ გოგოლაძე**.

მაყვალა ხაჩიძემ რედაქტირება გაუკეთა ყველა იმ ნაშრომს, რომელიც ამ ბოლო წლებში მუზეუმში იქნა მომზადებული. დამეთანხმებით, ეს ფრიად საპასუხისმგებლო საქმეა და დიდ ენერგიასთან ერთად, პროფესიონალიზმის მაღალ ხარისხს მოითხოვს. ამ ყველაფერს კი, ქალბატონი მაყვალა უხმაუროდ ასრულებს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დაბადების დღე მივულოცო ჩვენს ძვირფას მაყვალას. ვუსურვო ჯანმრთელობა და სიკეთე.

ძალზედ სერიოზულ შრომას სწევს ქალბატონი თამარ გოგალაძე, მან აღრიცხა და რეგისტრაცია გაუკეთა პროფესორ – მიხეილ ქავთარიას კაბინეტში დაცულ, მრავალრიცხოვანი წიგნადი ფონდის დიდ ნაწილს, რაც ასევე დიდ შრომასთან იყო დაკავშირებული. აგრეთვე, მას სისტემაში მოჰყავს ამ წიგნებზე მ. ქავთარიას მიერ გამოთქმული შენიშვნები, რომლებიც იდება კონვერტში, შემდეგ – წიგნებში. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, შევისწავლოთ ეს შენიშვნები, დავალაგოთ ისინი გარკვეული პრინციპით და ავტორის ნებართვის შემდგომ გამოვცეთ. დღეის მდგომარეობით ქალბატონი თამარი ახორციელებს ძველი, დაზიანებული წიგნების დეზინფექცია-დამუშავებას, რაც ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია.

ხელნაწერი მასალა კომპიუტერში შეაქვს ლია ჯურხაძეს, რომელიც ამ საქმეს დიდი პასუხისმგებლობითა და ხალისით უძღვება. რაც შეეხება ნაირა ტაბატაძეს, ის ცდილობს ყველა ოფიციალური დოკუმენტი თუ ნორმატიული აქტი იყოს მოწესრიგებული და სათანადოდ კვალიფიცირებული.

ესაუბრა **ეკა ბაქრაძე**

## ი უ ბ ი ლ ე



## ხათუნა ჩიცაძე

### დაკემსილი

ვერ მოვისვენე... ისევ გამოვიტანე სამზეოზე...

მთელი დღეა, ხმაამოუღებლად, ნემსთან ერთად დავტრიალებ თავზე და ჩაცვენილ, გაცრეცილ, ფერგასულ ფხაჯებსა და თვალჩაქცეულ, ჩაჯდეულ-ჩარღვეულ ქსოვილს ვებრძვი. სიძველესა და დროს თავისი გაუტანია... გული შემეკუმშა...

...ბებო კერავდა, ქარგავდა, ქსოვდა, ყაისნაღის უბადლო მომხმარებელი იყო, და საერთოდ, ზედმიწევნით კარგად ფლობდა ხელსაქმეს. მე, მისი ანასხლეტი ვარ მხოლოდ, მისი აჩრდილი...

ახლაც თვალწინ მიდგას ძველისძველი „ზინგერის" ფეხის საკერავი მანქანა, რიმა ბებო, მანქანის ხმა, ნაირფერი ძაფები, ნემსები, მაქო... ბებოს შეკერილი ულამაზესი სამოსი, ჩემი ძმების დაგვირისტებული ფარჩა-ატლასის ხალათები, – ისეთი, ორივე მხრიდან რომ იცვამდნენ. მახსოვს ბებოს ლაბადა, შავი ბეწვით, მისი შემოქმედება და გვირგვინი – „რედიკული", მაღალყელიანი, შავი ხელთათმანებით, დახვეწილი, სრული სხეული, ნამდვილი ქართული სახე. სიამაყე და დიდბუნოვნება ერთად იყო შეხამებული მასში.

...ბავშვები არ მეშვებიან, ცხარობენ, რომ მათ ყურადღებას აღარ ვაქცევ! მაინც ვერ ვწყდები. დღეს, ახლა, აუცილებლად უნდა დავამთავრო ეს საქმე, გადადება არ შეიძლება!

ჩემი ხვეწნა-მუდარით ბებოს გული ჰქონდა გაწვრილებული, ოღონდ მანქანასთან მივეშვი. ისიც დამყვებოდა ხოლმე და ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. საშინლად განვიცდიდი, როცა მაქოში ძაფი ჩამეხვეოდა და ვერ ვასწორებდი, ბებო მოვიდოდა, უხმოდ შეაკეთებდა და ისევ ვაგრძელებდი...

12 წლის ვიყავი, რომ გარდაიცვალა!.. კარგა ხანს, მანქანას არ შევხებივარ, ჩუმად ვტიროდი, როცა მის ოთახში შევდიოდი და მანქანა დუმდა, უფრო სწორად, ორივე ერთად ვტიროდით – მე და მანქანა... კრემისფერ ზედას იკერავდა ბოლო ჯერზე, ოქროსფერი სირმებით მოსილს და დარჩა ის ზედა უმკლავებოდ... დავიქადნე, მე დავასრულებ, ბებოს ხელმონაკიდია-მეთქი... ვერ დავასრულე! უფრო სწორად, ვცადე, მაგრამ ისეთი ვერ შევკერე, როგორიც ჰქონდა ჩაფიქრებული!

დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო და ვწერო ჩემს გამორჩეულ, ძლიერ, ამაყ, დახვეწილ ბებიაზე – რიმა თიკანაშვილზე, დღეს კი თავანეული ვამბობ, რომ მეც ბებოსავით შემიძლია თავგანწირვა! იმ საქმის კეთება, რომელიც ჩემი ფესვებიდან ასე უშურველად მოედინება!..

მაინც შევძელი, დღის სინათლეზე გამოტანილი ბებოს ხელით შექმნილი, ულამაზესი ხალათი, შავი, ჭრელი ყვავილებით მოჩითული ფარჩა-ატლასი ისევ გამოცოცხლდა! ყველა სიძველე, წლების ქარიშხალი და ტკივილიანი ღარი ამოვავსე!

მე სხვაგვარად არ შემიძლია! ბებოს ხალათი ჩემი ლექსის მუზაც გამხდარა და დღეს, ისე მარგია ტანთ, როგორც ამ 40 წლის წინ ამშვენებდა თიკანაშვილების დიდებულ ქალბატონს!

დაკემსილი, მეორე სიცოცხლე!
ბებო, მენატრები!

სამქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია დაბადების დღეს ულოცავს რაიონული ორგანიზაციის საინიციატივო კომიტეტისა და „ქალთა ასოციაციის " წევრს, შოთა რუსთაველის სახელობის მე-9 საჯარო სკოლის პედაგოგს, საქართველოს რესპუბლიკის ხალხურ ოსტატს, ხელოვანს, ერთგულ მეგობარსა და ქველმოქმედს – ქალბატონ **ხათუნა ჩიცაძეს.** უსურვებს ჯანმრთელობასა და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ყოველთვის გაზაფხულივით მომღიმარი ყოფილიყოს შენთვის ლექსიც და ცხოვრებაც, ჩვენო ხათუნა!

**ინეზა (ზიზი) ელისაშვილი**

### ავტოპორტრეტი

თქვენ ხედავთ მხოლოდ დაქარგულის
ნინარე მხარეს...
უკან კი მთელი სამყაროა, –
ბორგავს, ტრიალებს,
წყდება, იბმება,
იბმება, წყდება
და კვლავ იბმება...
თქვენ ხედავთ მხოლოდ
დაქარგულის ნინარე მხარეს!



### ამეკვიატე

ამ შემოდგომის სუსხიან რთველში
ამეკვიატა სურნელი შენი,
თავზე მეყრება ფოთოლთა თქეში,
დავეძებ ჩუმი და სევდა მშვენის...
ეს ვნებით სავსე დღეებიც წავა
და გასრულდება, ტრფობის სურნელი...
მერე ნუ მკითხავ, რად ვიყავ ავად, –
ასე თბილი და ასე სულელი!
მერე ნუ მკითხავ, სადა მაქვს გული,
ეს, მერამდენედ, შევწირე ხარკად!
არ შეიძლება, რომ ერთი სული
დაუსრულებლად ინვოდეს ხანძრად.
ამეკვიატე... ახლა მსურს შენთან!
ხვალ იქნებ, სულაც აღარ მახსოვდე...
შენ თუ შემომხსნი დარდების მერქანს,
ეს ლექსიც მხოლოდ შენ გისახსოვრე!
ამეკვიატე...

### გვირილა

მე ვარ გვირილა –
ოქროსფერი გულის საკინძით,
გაზაფხულიდან შემოდგომამდე
მაქვს ცის საფრენი!
მე ვარ გვირილა...
თქვენი მზერა ფრთხილად ავკინძე,
რომ მოგიქარგოთ
გრძნობა მსგავსი
და შესაფერი.
მე ვარ გვირილა!
ოდითგანვე ვითვლი დროის სვლას,
რადგან მაწუხებს სულ ყველაზე
ძველი ამბავი!
დაბადებიდან კრძალვით ვმარცვლავ
ჩემეულ ანბანს,
რომ ვაზიარო უხუნარი ტრფობის ლამპარი!
მე ვარ გვირილა –
გაზაფხულის და ზაფხულების,
შემოდგომის და
უცნაური დროის ტრფიალის...
იქნებ, ერთელაც,
მოგესურვოთ შემობრძანება,
რომ დედამიწის საქანელას
გწამდეთ ტრიალი!
მე ვარ გვირილა...
ვიცდი და მსურს
წრფელი ზღაპარი,
რომ აიხდინო ის ოცნება, –
სულში რაც არი...
და ჩამოფურცლო,
ხელში შეგრჩეს ის ერთი სხივი –
ვუყვარვარ! – სულში ტრფობის ალი
ჯიუტად ღვივის!
...მე ვარ გვირილა!..

* * *

ჩამუხლება...
ვერ მოვირგე დაკემსილი ფრთები!
დატირება...
და ნაცნობი, ეკლიანი გზები!
შებოჭილ ფიქრებს
ვილაც უქსოვს ჭორის მანტიას...
დაფიქრდე, იქნებ
შენ წააგე, ბოლო პარტია!
ინვის ოცნება,
არ უტყდება თავს,
რომ სუსტია...
ეს გაოცება სულისაა, –
გული კუშტია...
... და მე კი, კვლავაც
ვირგებ მშვიდად
ჩემს დაკემსილ ფრთებს!!!



## ნოველა



გოდერძი ჯობაძე

### ყუთი

— დამშვიდდით, სამუდამოდ კი არ ვაპირებ აქ დარჩენას, მაშინვე ავიბარგები, როცა აქაურობა გამაღიზიანებს. — ოცდამეთერთმეტემ ჩასისხლიანებული თვალები უცნაურად გადაატრიალა და გესლიანად შეხედა მეცხრეს და პირველს, თან მთელი ძალით ექაჩება ზურგზე შეკრულ ხელებს, უნდა, გრძელ მკლავიანი პერანგი გახიოს და გათავისუფლდეს.

...უფანჯრო ოთახში მხოლოდ სამნი იყვნენ, კედელზე ხმის ჩამწერი მოწყობილობა ეკიდა და უცნაურად ხრიალებდა.

— მწვანეებმა კარი გარედან დაკეტეს, ხელებიც შეგვიკრეს... აქედან ვერ გახვალ! – მეცხრე გვერდით მიუჯდა პირველს და ნერვიულად მოსიარულე ოცდამეთერთმეტეს ახედა.

— შენ გგონია, ამით ჩემს შეჩერებას შეძლებენ? არც ხელებს გავიხსნი, არც კარს გავაღებ, არც აქედან გავალ, მაგრამ აქ აღარ ვიქნები, ყველას დაგტოვებთ და მწვანეები ვერ მომაგნებენ! — ცწიერად გაიღიმა ოცდამეთერთმეტემ და ისევ, ზედიზედ, რამდენჯერმე სცადა ხელების გათავისუფლება.

— ჩვენ ყუთში ვართ! — ოთახის განათების ჩართვიდან მოყოლებული, პირველის მიერ მესამედ წარმოთქმული ფრაზა იყო ეს.

— მართალი ხარ, მაგრამ მწვანეებიც ყუთში არიან, დიდ ყუთში... ოღონდ ეგენი ვერ ხვდებიან, ყუთის გარდა, სხვა რამეც რომ არსებობს. აი, ყუთიდან გასასვლელი გზისკენ კი თვითონვე მიმითითეს. უკვე სამი კვირაა, შუქის ანთებისას არაფერი გადამიყლაპია... რაც მომცეს, ყველაფერი კუთხის ნახევში დავმალე. მერე ყველას ერთად გადავყლაპავ და... ყუთიდან გავალ...

* * *

... სინათლე ქრება, ჩამწერი უფრო ხმამაღლა ფხიკინებს. უფანჯრო ოთახში ვარდის სურნელი შემოდის. პირველს და მეცხრეს საკუთარ მუხლებზე ეძინებათ, ოცდამეთერთმეტე მოწყვეტილი ეცემა... არაფერი ჩანს.

ინთება სინათლე. სამივეს ხელები თავისუფალი აქვს... ოცდამეთერთმეტე ყველა კუთხეს ამოწმებს და ნახევს ვერ პოულობს...

### წიგნი და სიგარეტი

შენ სიგარეტის კვამლით მოცულ მწვანე, საკმაოდ ხმელ სავარძელში ზიხარ, გამალებით ეწევი და რაღაც კარგს კითხულობ... ალბათ, კორტასარს...

წიგნის სიძველის სუნი სიგარეტის კვამლს უშედეგოდ ებრძვის და შენამდე ვეღარ აღწევს, მაგრამ ეს სუნი გონებაში გაქვს გამჯდარი და მაინც გრძნობ... ნაფაზები, ნელ-ნელა, ტექსტის სიძლიერის შენეული ინდიკატორები ხდებიან და მათი ერთობლიობა, თითქოს აღელვების აბსტრაქტულ შკალას ქმნის.

როცა ტექსტი სასიამოვნოა, მაშინ ნაფაზები ზომიერია და კვამლიც სადღაც, ზემოთ იკარგება, ტორშერის შუქში იხლართება და უპროგნოზოდ დაცურავს თანაბრად ნაბეჯდ სიცყვებში. თუ ტექსტი განსაკუთრებით ამაღელვებელია, ჩასუნთქვამდე, შეიძლება, ადგილიც მოინაცვლოს. ამას მოსდევს ძალიან ღრმა ნაფაზი და თითქმის ჩაბნელებული ტორშერის შუქი... ასეთი მომენტები, ხანდახან, წიგნის ნაკერისკენ მიმართული კვამლის ჯავლით მთავრდება, რომელიც ფურცელზე შეხებისთანავე იშლება და სიტყვებს აუფერულებს...

ვერ გრძნობ, როდის ინვება სიგარეტი და როდის უნდა მოაშორო დაგრძელებული ფერფლი. მხოლოდ სიმწარით ხვდები, როდის უნდა ჩაანაცვლო თითქმის დამწვარი ღერი ახლით.

ალბათ, ორაციო ოლივეირასაც ამდაგვარი სტილი ექნებოდა, როცა კვირაობით განმარტოვდებოდა წიგნებთან და სიგარეტის უამრავ კოლოფთან ერთად, მაგრამ შენ ამდენს ვერ „ქაჩავ", ვერც სიგარეტს, ვერც — წიგნს. თან, შენ, შენ ხარ და არა — ოლივეირა.

შენ ყოველთვის იცი, როდის გწყინდება ასეთი გრაფიკი. იცი, როდის უნდა ჩაჯულიტო იატაკზე დადებულ საფერფლეში, თუნდაც ნახევრად მოწეული სიგარეტი, მერე წიგნი ისე დახურო, რომ გამოტყორცნილი, კვამლში არეული სიძველის სუნი შეისუნთქო კიდევ ერთ ნაფაზად.

დგები... ფანჯარას აღებ...

ოთახში სიზნელე ღამის გრილი არომატით იჭრება და კვამლის ჩანაცვლებას ცდილობს... ტორშერი უფრო მკაფიოდ ანათებს და გამხმარ სავარძელს მწვანე ფერი ემატება... ემოციებით დაღლილი ხარ და ამ ყველაფერს ღამეს აბრალებ... არ იცი, რატომ...

გულაღმა წვები ახალი დღის მოლოდინში...

## პოეზია



მზეგული ცუეშელაშვილი

### ისევ „მავანს"

კარგად იცი, რაც იყავი...
ვერაფერი შენ ვერ შეგცვლის.
ლექსად გეტყვი, აქამომდე,
რაც არ უთქვამს არვის შენთვის!
მხოლოდ ახლა? — რა ხანია,
გაგწყვეტია შუბლის ძარღვი,
ამისთანა წარმატების
რა მითქვამს და ახლაც რა ვთქვი!
ისიც მიკვირს, როგორ გიძლებთ
დედამიწა მავანთ, ჰოდა,
უსინდისო ვირზე შესვეს, —
„აცე, აცე" — იძახოდა!

### დაგეძებ

თრთოლვით ტაშს უკრავს ვერხვი,
ნაძვს კაბა მოსავს მწვანე,
ძეწნას, ცრემლებად დაღვრილს
თვალს ვერ აშორებს მთვარე!
აქეთ ლიახვი ზორგავს,
იქით ქაფდება ფრონე,
მსურს, გამოვიქცე შენკენ,
მაგრამ გზა ვერსად ვპოვე!
დაგეძებ მხოლოდ შენ ერთს,
შემოვიარე სივრცე...
ტყიდან მოისმის სტვენა,
მინდვრად — ბული და სიცხე.
ვერხვი ტაშს უკრავს თრთოლვით,
ნაძვს კაბა მოსავს მწვანე,
ძეწნას, ცრემლებად დაღვრილს
თვალს ვერ აშორებს მთვარე!

### მიშველე

სიცილი დავკარგე, ღიმილიც გამიქრა,
მგონია, განგებამ დამწყევლა! – ამიხდა...
დარდს ვიტან და ვუძლებ, თუმცა კი,
მანვალებს,
იქნება, სინათლე გამოჩნდეს დღეს-ხვალე!..
ვდუნდები, მგონია, მიქრება იმედი...
რამდენი მინახავს და რამდენს ვითმენდი!..
ცხოვრება — სიზმარი რა მალე მთავრდება!
კიდევ რას მიმზადებს ვერაგი განგება!..
სულ დილას მივსტირი, არ მინდა
დაღამდეს,
აწმყო და მყოფადი, მეღირსოს, დალაგდეს...
თუმც ცრუა, ხანდახან, ეს წუთისოფელი,
ნუგეშსაც, შველასაც კვლავ მისგან მოველი!
ჰოდა, დამიხსენი ბედი ხარ, თუ რაში,
მიშველე, დაქანცულს, ცხოვრების ქურაში!

თარგმანი

ბერძნულიდან თარგმნა
**თათია მთვარელიძემ**

## უკანასკნელი ცდუნება

იესოს მზე დაჰნათოდა...

ორი ნაბიჯი ძლივს გადადგა, თავბრუ ესხმოდა, შედგა. მზერა ასკეტისათვის მიეპყრო, მთელი მისი სული თვალებად ქცეულიყო – ეძებდა, ადი-ჩადიოდა ლერწამივით წვრილი ფეხებიდან ცეცხლმოდებულ თავამდე და თავიდან – წინასწარმეტყველის უხილავ სხეულამდე.

ნათლისმცემელი ზურგით იდგა, მთელი თავისი ტანით იგრძნო დაჟინებული მზერა, რომელიც მასზე მიმოდიოდა, გაბრაზდა, ერთბაშად შემობრუნდა, ორბისებრი, მოჭუტული თვალებით ცდილობდა გაერჩია, ვინ იყო ის ყმაწვილი, უსიტყვოდ და უძრავად რომ ჩამომდგარიყო, თეთრებით მოსილი თვალს რომ არ აცილებდა... საიდღაც, ოდესღაც უნახავს იგი. მაგრამ სად? როდის? მთელი არსებით ცდილობდა გაეხსენებინა. იქნებ სიზმრადაც კი უხილავს? ხშირად ნახულობდა ასეთებს, – თეთრად მოსილებს, სიზმრად. ხმას არასდროს სცემდნენ, მხოლოდ დაჟინებით უცქეროდნენ, შემდეგ ხელს დაუქნევდნენ, თითქოს ესალმებიანო, თითქოს ემშვიდობებიანო, ამ დროს, ეზოს მამალიც დაჰყივლებდა, გათენდებოდა და ისინიც უჩინარდებოდნენ.

ნათლისმცემელი აკვირდებოდა და უცებ შეჰყვირა. გაახსენდა, ერთხელ, შუადღისკენ, მდინარის ნაპირას წამოწოლილმა, თხის ტყავზე დაწერილი ისაია წინასწარმეტყველის წიგნი აიღო და უეცრად ქვები, ლოდები, წყლები, ლერწმები, მდინარეები ერთიანად გაუჩინარდნენ. ჰაერი ცეცხლით, საყვირების ხმითა და ფრთების შრიალით აივსო. წინასწარმეტყველის სიტყვები კარიბჭესავით გაიხსნა და შემოვიდა მესია! – სულ თეთრებით მოსილი, თხელი, მზისაგან დამწვარი, ფეხშიშველი, რომელსაც მასავით, კბილებს შორის მწვანე ფოთოლი მოექცია.

ასკეტს თვალებში შიში და სიხარული ერთდროულად ჩაუდგა. ლოდიდან ჩამოხტა, იესოსაკენ გაემართა და გალეული ყელი წაიგრძელა:

– ვინ ხარ? ვინ? – ჰკითხა აკანკალებული ხმით.

– ვერ მცნობ? – თქვა იესომ და ერთი ნაბიჯით წინ წაიწია.

მასაც ხმა უკანკალებდა. იცოდა, ნათლისმცემლის პასუხზე იყო დამოკიდებული მისი ბედი.

– ის არის, ის. – ფიქრობდა ნათლისმცემელი, გული ძლიერად უცემდა და არ შეეძლო, ვერ ბედავდა გადაწყვეტილების მიღებას. კვლავ დაეჭიმა ყელის ძარღვები:

– ვინ ხარ? – ისევ ჰკითხა.

– განა წმინდა წერილი არ წაგიკითხავს? – მიუგო იესომ, სიტკბო და საყვედურშერეული ხმით, თითქოს კიცხავსო. – წინასწარმეტყველთა წიგნები არ წაგიკითხავს? რას ამბობს ისაია? წინამორბედო, ნუთუ არ გახსოვს?

– შენ ხარ? შენ? – ჩურჩულებდა ასკეტი, მხრებში წაევლო ხელი და თვალებში ჩასჩერებოდა.

– მოვედი... – უხალისოდ მიუგო იესომ და შედგა.

სუნთქვა შეეკრა. ნაბიჯის გადადგმა უჭირდა... ფეხს წინ გადგამდა – თითქო მოსინჯვა სურდა, შეძლებდა თუ ვერა ნაბიჯის წადგმას ისე, რომ არ წაქცეულიყო... არ შეეძლო, წაიქცეოდა...

მისკენ გადახრილი ველური წინასწარმეტყველი კი უსიტყვოდ მისჩერებოდა. ნუთუ მოესმა ის უბრალო და საოცარი სიტყვა, რომელიც იესოს აღმოხდა?

– მოვედი... – გაიმეორა მარიას ძემ ისე ჩუმად, რომ მის უკან მდგომი, მიყურადებული იუდას სმენასაც კი ვერ მისწვდა ეს სიტყვა.

ამჯერად წინასწარმეტყველი შეკრთა. დიახ, გაიგონა!

– რა? – იკითხა და გაოგნებისგან თმა აეყალყა.

ამ დროს, მათ თავზე ყვავმა გადაიფრინა და ჩახრეწწილი ხმით დასჩხავლა – ადამიანის ხმით, რომელიც თითქოს იხრჩობაო ან იცინის ან დასცინისო. ნათლისმცემელი გაბრაზდა. ქვის ასაღებად დაიხარა, ყვავი უკვე გაფრენილიყო, თუმცა ის მაინც ქვას ეძებდა, ეძებდა და უხაროდა, რომ ასე დრო გაჰყავდა, რათა მისი გონება ნელ-ნელა დამცხრალიყო... წელში გაიმართა.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება, – თქვა და უსიყვარულოდ შეხედა.

იესოს გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. ყურებში საშინელი ზუზუნი ჩადგომოდა. ნუთუ წინასწარმეტყველმა მართლა უთხრა ეს სიტყვები?

– კეთილი იყოს შენი მობრძანება – მართლა რომ ეთქვა, რა სასწაული, რა სიხარული და რა საშიში იქნებოდა ეს ყველაფერი!

ნათლისმცემელმა აქე-მარეს მოავლო თვალი, მზერით გასინჯა მდინარე იორდანე, ლელიანი, ტალახში, მუხლებზე დაცემული ადამიანები, საქვეყნოდ რომ აღიარებდნენ საკუთარ ცოდვებს. თავის სამწყსოს სწრაფად დაემშვიდობა და კვლავ იესოს მიუბრუნდა:

– აი, ახლა კი მე შემიძლია, რომ წავიდე.

– ჯერ არა! ჯერ მე უნდა მომნათლო, წინამორბედო! – იესოს ხმა ახლა უკვე მტკიცე და შეუვალი იყო.

– მე? შენ, შენ უნდა მომნათლო მე, უფალო...

– ჩუმად, არ გაიგონ. ჯერ არ მოწევნულა ჩემი ჟამი. მოდი!

იუდა მიყურადებულიყო, რათა გაეგონა რაზე საუბრობდნენ. მაგრამ მხოლოდ რაღაც ჩურჩულისმაგვარი მოისმინა, სიხარულნაზავი ჩურჩული, თითქოს ერთმანეთს ორი ჩქარი ნაკადი ერთვისო.

მდინარის ნაპირზე ხალხი აჩოჩქოლდა:

– ვინ არის ეს უცნაური პილიგრიმი, რომელსაც თეთრი კვართი ჰმოსავს, თავს მზე დაჰნათის და სინათლით ფარავს? და ისე, რომ ცოდვებიც კი არ მოუნანიებია, ამგვარი თავდაჯერებითა და დამაჯერებლობით შედის წყალში?

ნათლისმცემელი წინ მიუძღოდა, წყალში შევიდნენ, იოანე ლოდზე შედგა, მის გვერდით იესო მდინარის ფსკერზე მიაბიჯებდა, წყალი წიკაპამდე სწვდებოდა.

იმ წამს, როდესაც ნათლისმცემელმა ხელი შემართა, რათა წყალი სახეზეც ეპკურებინა და ლოცვა წარმოეთქვა, ხალხს ერთიანად აღმოხდა ხმა. უეცრად იორდანეს წყალი შედგა, უძრავად დადგა, ყოველი მხრიდან მოაწყდნენ ფერად-ფერადი თევზები, იესოს გარს შემოევლენ და ფარფლებისა და კუდების ქნევით იწყეს თამაში, თითქოს ცეკვავენო. და ვიღაც უცნაური, გაბურძგნული არსება, კეთილი მოხუცი ამოვიდა წყლის სიღრმიდან, ლერწმებს ჩამოეყრდნო და პირდაღებული მისჩერებოდა აქე-მარეს. თვალები კი სიხარულითა და შიშით ანთებოდა.

ამგვარი სასწაულის შემსწრე ხალხი აბობოქრდა. ზევრმა ზურგი აქცია სანაპიროს, რათა არ დაენახათ, რაც ხდებოდა. სხვები, შუა პაპანაქებაში, სიცივისაგან აძაგძაგდნენ. ერთმა კი, იხილა რა მდინარის სიღრმიდან ამომავალი, ტალახში ამოგანგლული მოხუცი, შეჰყვირა:
– აი, იორდანე! – და გული წაუვიდა.

ნათლისმცემელმა ღრმა ნიჟარა აავსო წყლით და ხელისკანკალით იწყო წყლის პკურება იესოს სახეზე:

– ნათელს იღებს მონა ღვთისა... – უცებ შეჩერდა, ვეღარ მიხვდა, რა სახელი უნდა წარმოეთქვა.

იესოს მიუბრუნდა, და მაშინ, როცა ყველა ფეხისწვერებზე შემდგარიყო და მოუთმენლად ელოდა მისი სახელის გაგონებას, საიდღაც, ზემოდან ფრთების შრიალის ხმა მოისმა. ციდან დაეშვა თეთრზე თეთრი, ნათელი ჩიტი – იქნებ იაჰვეს სერაფიმიც? დაეშვა და ნათელღებულის თავს ზემოთ შედგა. ცოტა ხანს ასე, უძრავად იდგა, შემდეგ სამგზის შემოუფრინა, სამი გვირგვინი აღენთო და ყველამ გაიგო ხმა, რომელიც ფრინველს აღმოხდა, თითქოს რაღაც სახელს ამბობსო, პირველსმენილ სახელს, დაფარულს. თითქოს, ნათლისმცემლის უთქმელ შეკითხვას ცა პასუხობსო.

ადამიანებს სმენა დაეხშოთ, საფეთქლები დაეჭიმათ... ფრთების ხმაც იყო და სიტყვებიც, ხმა ღვთისა, ხმა ჩიტისა, საუცხოო სანახაობა, იესო კი მთელი სხეულით დაიძაბა, რათა გაეგო, წინასწარ ეგრძნო, რომ ეს იყო მისი სახელი, ჭეშმარიტი სახელი მისი. მაგრამ ვერ შეძლო გაეგონა. ოდენ შეიგრძნო, რომ მასში ერთად ხმაურობდა ყველა ზვირთი, ფრთები. სიტყვები – მწარე და დიდი სიტყვები ერთად გაისმოდა. ზეცას მიაპყრო მზერა და ნახა, რომ ჩიტი უკვე ცის კაბადონზე აფრენილიყო და მოჩანდა, როგორც ნათელი ნათელსა შინა.

მარტოოდენ ნათლისმცემელმა, ვისაც მრავალი წელი გაეტარებინა უდაბნოებსა და უკაცურ მარტოობაში და ღვთის ენაც კარგად ესმოდა, ყოველივე მყისვე გაიგო:

– ნათელს იღებს, – ცახცახებდა და ჩუმად, თავისთვის ბუტბუტებდა, – ნათელს იღებს მონა ღვთისა, ძე ღვთისა, იმედი ადამიანისა!

და იორდანეს მიანიშნა, რომ აწ შეეძლო, წყლის დინება საითაც სურდა, მიემართა.

საიდუმლო უკვე აღსრულდა!

**ნიკოს კაზანძაკისი**

რედაქტორი ეკა ბაქრაძე